

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N14

ქ.თბილისი

9 სექტემბერი, 2022 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	საბა ბუაძე
ვლადიმერ ბოჭაძე	ოთარ გრიგოლია
ანა გოგოლაძე	ლევან დავითაშვილი
მამუკა გუგუშაშვილი	კონსტანტინე ზარნაძე
ნინო ვარდოსანიძე	ზაზა თავაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კაკაბაძე	სალომე კობალაძე
ნინო კვიციანიშვილი	ზვიად კუპრავა
ცოტნე კობერიძე	ლილე ლიპარტელიანი
კახაბერ ლაბუჩიძე	შალვა ოგბაიძე
ნათია მოდებაძე	გურამ ოქროპირიძე
გიორგი ონიანი	ნინო რუხაძე
ლევან ჟორჟოლიანი	ვახტანგ სურგულაძე
რევაზ სოხაძე	გიორგი შარაშიძე
დავით ფარცვანია	ზურაბ ჩიკვილაძე
გიორგი ჩაკვეტაძე	ავთანდილ ცინცაძე
გივი ჩხარტიშვილი	ირაკლი ხელაძე
ნინო წულაძე	ლევან ჯაფარიძე
ალექსანდრე ხუჯაძე	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვლადიმერ ჭილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე და ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ლაშა მაჭავარიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ქეთევან შუბითიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქალაქში მწვავედ დგას ავარიული კორპუსების მიმართულებით არსებული პრობლემა. დღევანდელმა ხელისუფლებამ, მიმდინარე წლის დასაწყისში აქტიურად დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, რომლის ფარგლებშიც საკრებულომ დაამტკიცა ავარიული კორპუსების ჩანაცვლების წესი, ხოლო რამდენიმე დღის წინ, წარმატებით დასრულდა ინტერესთა გამოხატვა და გამარჯვებული კომპანია ვარკეთილში, ე.წ. „ხრუშკოვკის“ ადგილას ააშენებს საცხოვრებელ კორპუსს. მისი თქმით, ამ პროექტის განხორციელებას ელოდება ათასობით ადამიანი, რომლებიც ავარიულ სახლებში, გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრობენ და გარდა ამისა, მათი ნაწილი გამგეობას გაყვანილი ჰყავს ქირით. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ ამ ეტაპის წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანია, როგორც მათთვის, ასევე, ქალაქისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა დაიწყო ერთი კონკრეტული პროექტი. გიორგი ტყემალაძემ მოუწოდა ავარიული სახლების მესაკუთრეებს, გააცნობიერონ ის სიკეთე, რომელსაც ამ პროექტის განხორციელება მოუტანს, როგორც მოსახლეობას, ასევე, ქალაქს და აქტიურად ითანამშრომლონ თავიანთი რაიონის გამგეობებთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან.

ზვიად კუპრავამ აღნიშნა, რომ საკრებულოს შენობის აივანიდან გადაკიდებული იყო უკრაინის და საქართველოს დროშები, რასაც ჰქონდა სიმბოლური პოლიტიკური დატვირთვა, რადგან გამოხატავდა უკრაინისადმი საქართველოს მხარდაჭერას, თუმცა დღეს ეს დროშები იქ აღარ არის და დაინტერესდა რატომ? გამოთქვა მოსაზრება, რომ მათი ჩამოხსნა მოხდა საკრებულოს თავმჯდომარის ნების საწინააღმდეგოდ, რადგან მისი ნება რომ არ ყოფილიყო, აივანზე დროშების გადაკიდების შესახებ მითითებას თავიდანვე არ გასცემდა და ითხოვდა, საქართველოს და უკრაინის დროშების საკრებულოს აივანზე დაკიდება. ზვიად კუპრავამ ასევე, ისაუბრა ამერიკის და ევროკავშირის მხრიდან სანქციების დაწესებაზე და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, საუბარია არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, არამედ მისი გარემოცვის და „ქართული ოცნების“ პარტიის მაღალი თანამდებობის პირების დასაწესებზე.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს და თბილისის მერის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში არ ჩანს ქალაქზე ორიენტირებული ინტერესები, თუმცა ჩანს კონკრეტული ბიზნესების ინტერესები, რითიც ზარალდება ხალხი და დედაქალაქის ინტერესები და რიტორიკული შეკითხვით მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს - „რომ ფლობდეთ დაახლოებით ათი მილიონის ქონებას, გაცვლიდით თუ არა სამი მილიონის ქონებაში?“ რომელსაც თავადვე უპასუხა - „ბუნებრივია, რომ არა. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ეს ათი მილიონის ქონება თქვენი არ იქნებოდა და გარკვეული ფინანსური სარგებლის ნახვა იქნებოდა შესაძლებელი, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თქვენგანი დაფიქრდებოდა“. მისი თქმით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე - თბილისის მერიამ, 2007 წელს, დიდ დილომში, 32000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურით, გაასხვისა კომპანია „ველაჯიოზე“ იმ პირობით, რომ ათი წლის განმავლობაში, კომპანია შეინარჩუნებდა სპორტულ პროფილს. ვალდებულების გასვლიდან რამდენიმე თვით ადრე, კომპანია „ვისოლმა“ და ფხაკაძეებმა გადაწყვიტეს შეესყიდათ ეს ტერიტორია, მასზე არსებული სპორტული კომპლექსით და ვალდებულებებით, რაშიც გადაიხადა ათი მილიონი ლარი, თუმცა ორ-სამ წელიწადში, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ სპორტული ბიზნესების ფლობა არ ყოფილა მისი პროფილი და მოინდომა ტერიტორიის გადაცვლა. სწორედ ამ მიზნით,

ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე შეარჩია 105000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება არის ათი მილიონი დოლარი, მიმართა ეკონომიკის სამინისტროს და თბილისის მერიას, რომელმაც, იმ მოტივით, რომ თურმე ამორტიზირებული სპორტული მოედნების დემონტაჟი მიზანშეწონილი არ არის, სამჯერ უფრო ძვირადღირებულ ქონებაში გადაუცვალა ფხაკაძეებს ეს ტერიტორია მაშინ, როდესაც თბილისის მერიას შეეძლო გაესხვისებინა ლისის მიმდებარე ტერიტორიები, მიეღო ათი მილიონი დოლარი და აეშენებინა უკეთესი ველობილიკები და საფეხბურთო მოედნები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ „ვისოლის“ მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო და სარეკრეაციო ზონა და ჩნდება ვარაუდი, რომ ცოტა ხანში, ფხაკაძეები მოითხოვენ გენ.გეგმაში ცვლილებების განხორციელებას, რაზეც მერია და საკრებულო დათანხმდება. ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ „კალაძეს ძალიან სწყინს, როდესაც კორუმპირებულს უწოდებენ, მაგრამ კორუფცია არ არის მხოლოდ ფულის ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანა და ალბ-მიცემობა, კორუფცია არის ისიც, როდესაც, კრონისტული მოტივებით იღებ გადაწყვეტილებას, სადაც არ ჩანს ქალაქის ინტერესები და გადაწყვეტილება მეტად ორიენტირებულია კერძო პირების ფინანსურ სარგებელზე“. მისი თქმით, ეს კონკრეტული შემთხვევა არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი, სადაც არ არის გათვალისწინებული ქალაქის და მოსახლეობის ინტერესები, თუმცა, ჩანს ფხაკაძეების და კალაძესთან დაახლოებული პირების ინტერესები და სამწუხაროდ, ამ პროცესში კნინდება საკრებულოს როლი, როდესაც მისი გვერდის ავლით ხორციელდება მსგავსი დიდი ტრანზაქციები, რომლებიც ეხება ქალქს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და საკრებულოს უმრავლესობის წევრებისთვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ საკრებულოს დაუბრუნონ მისი რეალური ფუნქცია და ვალდებულებები, რაშიც იგულისხმება ქალაქში პასუხისმგებლიანი პოლიტიკის წარმართვა.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სწორედ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებაა, ხოლო ქალაქის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილება იყო ის, რომ დედაქალაქში არსებული სპორტული ობიექტები გაიყიდა და ათწლიანი ვადით გადაეცა კერძო კომპანიას. დღევანდელმა ხელისუფლებამ ქალაქს დაუბრუნა არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული, არამედ ძალიან ბევრი მსგავსი ტერიტორია. მისი თქმით, თუ ანა გოგოლაძე დღევანდელ ხელისუფლებას ბრალს სდებს იმაში, რომ ფული გადაიხადა ამ ტერიტორიების დაბრუნებასა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში, შეიძლება მათი შეფასებით ეს არის ქალაქის საწინააღმდეგო ინტერესები, თუმცა უმრავლესობის აზრით, ეს არის ქალაქის ინტერესების დაცვა და საკრებულო არა თუ ჩართული იყო ამ პროცესში, არამედ სწორედ მისი მიღებული გადაწყვეტილება და მომავალშიც გააგრძელებს ასეთი ტრანზაქციების განხორციელებას. განაცხადა, რომ სწორედ ქალაქის ინტერესებშია სპორტული ინფრასტრუქტურის დაბრუნება და განვითარება, ხოლო თუ საუბარია იმაზე, რომ ქალაქმა ამაში ძვირი გადაიხადა, მართალია ძვირი გადაიხადა, თუმცა თავის დროზე არ უნდა გაყიდულიყო და აღმოჩენილიყო კერძო საკუთრებაში, რადგან მსგავსი ტერიტორიების დაბრუნებაში ქალაქს უწევს დღევანდელი საბაზრო ღირებულების გადახდა. მისი თქმით, საკრებულოს და კახა კალაძის ინტერესი არის არა ასეთ ტერიტორიებში თანხის გადახდა, არამედ ქალაქისთვის სპორტული ობიექტების დაბრუნება და მათი განვითარება, რასაც აუცილებლად გააკეთებენ და მიუღებელია იმაზე საუბარი, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ქალაქის ინტერესებს. მისი თქმით, როდესაც ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას საუბარია საკრებულოს როლზე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დღემის მასივში, სპორტული კომპლექსის გაყიდულ ტერიტორიაზე, ათწლიანი ვადის გასვლის შემდგომ, საკრებულოში შემოსული იყო მრავალსართულიანი კორპუსების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც საკრებულოს გადაწყვეტილებით იქნა გაწვეული, დღეს ეს ტერიტორია არის ქალაქის და უახლოეს მომავალში განვითარებული იქნება ძალიან კარგი სპორტული ინფრასტრუქტურა.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ ორ საკითხზე, რომლებიც ეხება კომპანია „ფენიქსის“ და „დიდგორი 2006“-ის დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებული 348 ოჯახის დახმარებას და აღნიშნა, რომ დღეს მიღებული

გადაწყვეტილებით ამ ოჯახებს მიეცემა სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები, რომ დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართებით. ასევე, ისაუბრა ანა გოგოლაძის მიერ გაჟღერებულ თემაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოში არაერთხელ ყოფილა რამდენიმესაათიანი განხილვა იმ სპორტულ ობიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გაიყიდა 2007-08 წლებში იმ პირობით, რომ კერძო მესაკუთრეები 10 წლის განმავლობაში შეინარჩუნებდნენ სპორტულ პროფილს, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს პირობა იხსნებოდა და ამ ტერიტორიებზე განვითარება ხდებოდა არსებული ზონის შესაბამისად. მისი თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ თითქოს კომპანია „ვისოლმა“ აღნიშნული ტერიტორია შეიძინა სამი წლის წინ, რადგან ეს ტერიტორია თავის დროზე შეიძინა სწორედ „ვისოლთან“ აფელირებულმა კომპანიამ და შესაბამისად, არასდროს შეცვლილა რეალური მესაკუთრე, შეიცვალა მხოლოდ კომპანია. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ გასული იყო ათწლიანი ვადა და კერძო მესაკუთრეს ამ ტერიტორიაზე ჰქონდა კორპუსების ჩადგმის უფლება, მუნიციპალიტეტი უნდა შესულიყო მონაცვლეობის პროცესში, რომელიც ხორციელდება მოსანაცვლებელი მიწის ნაკვეთების შეფასების საფუძველზე და თუ ვინმეს შეფასებასთან აქვს კითხვები, შეუძლია მიმართოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, თუ რა მეთოდოლოგიით განახორციელა შეფასება. მისი თქმით, მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ათი წლის ვადით, კერძო მესაკუთრეს გადაეცემოდა კონკრეტული ობიექტი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში იყო მოუფლელი და დღეს, ქალაქმა, გარდა იმისა, რომ უნდა გამოიყიდოს ეს ტერიტორიები, მანვე უნდა გამართოს ინფრასტრუქტურაც. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს არის ის ტერიტორიები, რომლებიც ქალაქმა, რა ფასის გადახდაც არ უნდა მოუწიოს, უნდა შეინარჩუნოს და ამასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება არ უნდა არსებობდეს.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ დიდ დილომში, გაყიდულია და დღეს კერძო საკუთრებაშია არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული ველოტრეკის ტერიტორია, არამედ სკოლები და საბავშვო ბაღები და მოხარულია, რომ მონაწილეობა მიიღო იმ პროცესში, სადაც დედაქალაქის მერის და საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ტერიტორია შეუნარჩუნდა დიდ დილომს და ადგილობრივ მოსახლეობას. მისი თქმით, წინა ხელისუფლების მსგავსი ქმედებების გამოსწორება დღეს ჩვენს ქალაქს და თანამოქალაქეებს საკმაოდ ძვირი უჯდება და ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ რამდენი სპორტული ინფრასტრუქტურაა გასხვისებული, რომელთა ადგილასაც აშენებულია მრავალბინიანი კორპუსები.

ცოტნე კობერიძემ ისაუბრა სპორტსა და პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ „უკანასკნელ დღეებში ამუშავდა სახელისუფლებო პროპაგანდა, დაწყებული მათი მედიით, დამთავრებული კობახიძით“, რომელმაც საშემოდგომო კომიტეტის სხდომა გახსნა იმაზე საუბრით, რომ ოპოზიციას არ მოსწონს ქართველი სპორტსმენების წარმატება, ხოლო თავად არიან ამ სპორტსმენების წარმატების სიმბოლო, რაც მისი თქმით, პოპულიზმის ყველაზე მავნე ფორმაა და ნიშნავს იმას, რომ საკუთარი წარმატებით სიამაყის არავითარი არგუმენტი არ დარჩათ და ცდილობენ სხვის წარმატებაზე პარაზიტირებას - ამზობენ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას წარმატება მათი წარმატებაა. ცოტნე კობერიძემ ამაზე აგებულ პროპაგანდას „საცოდობა“ უწოდა და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს - „კვარაცხელია შეძლებს და საკუთარ გუნდს მოახვედრებს ნახევარფინალშიც ალბათ და სადაც საჭიროა, თქვენ თუ მოახვედრებთ საქართველოს ევროკავშირში? ეს არის საქმე. კვარაცხელიამ „ლივერპულის“ ნახევარდაცვა მოატყუა, კობახიძემ შარლ მიშელი მოატყუა - აქ დიდი განსხვავებაა, აქ ტოლობის დასმა არის სასაცილო და მავნებლობა. პასუხისმგებლობა უნდა აიღოთ რასაც თქვენ აკეთებთ და არა სხვა ადამიანზე“. მისი თქმით, ქართველი სპორტსმენების წარმატება უხარია ყველას, ეკუთვნის ყველა ქართველს და, პირველ რიგში, თავად იმ ადამიანებს, მათ პროფესიონალიზმს, ნიჭს და მათ ოჯახს და დღევანდელ ხელისუფლებას ეს პროპაგანდა არ გამოუვა. ამ ადამიანებს შეუძლიათ საქართველოს სახელი ევროპაში დადებითი კუთხით გაიტანონ, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს

საქართველოს სახელი პირიქით გააქვთ, რადგან არღვევენ ხელშეკრულებებს და დასავლეთს ომში ჩათრევის მოწოდებებში ადანაშაულებენ.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლებამ 2007 წელს, გააუქმა სპორტის უნივერსიტეტი და სპორტის კოლეჯი, რომლებმაც წელს მიიღეს პირველკურსელები. ასევე, გააუქმა სპორტის სამინისტროს კვლევითი ინსტიტუტი და უამრავი სპორტული ინფრასტრუქტურა არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი არის ადამიანი და ამიტომ ნებისმიერი წარმატება სპორტის, კულტურის, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა მიმართულებით ასოცირდება დღევანდელ ხელისუფლებასთან და არა იმ ხელისუფლებასთან, რომელმაც ამ ქვეყანაში „სპორტი მოკლა“. მისი თქმით, მხოლოდ 2019 წელს ქართველ სპორტსმენებს იმდენი მედალი აქვთ აღებული, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთად რომ არ აუღიათ და სწორედ დღევანდელი ხელისუფლების სწორ პოლიტიკასთან იქნება გაიგივებული ის, რომ ამ ქვეყანაში განვითარდება უამრავი სპორტული ინფრასტრუქტურა და გვეყოლება უამრავი წარმატებული სპორტსმენი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თბილისიც და სხვა მუნიციპალიტეტებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დაიბრუნონ წინა ხელისუფლების დროს გაყიდული სპორტული ინფრასტრუქტურა, ააშენონ ახალი და გაწიონ ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ანა გოგოლაძის მიერ გაჟღერებულ საკითხზე და განაცხადა, რომ ძალიან ცუდია, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა ხელშეკრულებაში დაინახეს მხოლოდ და მხოლოდ ათწლიანი ვადა და არ დაინახეს ის საინვესტიციო პირობები, მათ შორის, არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც „ვისოლს“ ეხება, არამედ, სხვა შემთხვევებშიც, რომლებიც იყო გათვალისწინებული და ის მუხლი, სადაც მითითებულია, რა შედეგი შეიძლება დამდგარიყო, თუ არ განხორციელდებოდა საინვესტიციო პირობები. მისი თქმით, ამ ტერიტორიის გასხვისებისას, ვალდებულებად, გარდა იმისა, რომ პროფილი უნდა შენარჩუნებულიყო ათი წლის განმავლობაში, განსაზღვრული იყო ასევე, თუ რა ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო და რა თანხით. შესაბამისად, თუ ტერიტორია იყო მოუვლელი, როგორც ეს ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა და კომპანიამ არ შეასრულა საინვესტიციო ვალდებულებები, ხელისუფლებას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება და სპორტული მოედანი გამოესყიდა იმ თანხად, რა თანხადაც იყიდა კომპანიამ, თუმცა, ამის ნაცვლად, დღევანდელმა ხელისუფლებამ, მას ლისზე გამოუყო სატყეო ზონა. მისი თქმით, სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ მოუხსნა სატრანსპორტო ზონა ამერიკის საელჩოს წინ არსებულ ტერიტორიას და ფხაკაძეს შენობა ჩაადგმევინა იქ, სადაც მშენებლობის უფლება შევარდნაძის ხელისუფლებამაც კი არ მისცა, რაც, არის პოლიტიკური კორუფცია, რადგან ერთი ხელით პარტიას აფინანსებს ფხაკაძე, ხოლო მეორე ხელით სასათბურე პირობებს უქმნის მას ხელისუფლება. ლილე ლიპარტელიანმა აქვე, განაცხადა, რომ არა მხოლოდ ამ კონკრეტულ, არამედ ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც, თუ კომპანიამ არ განახორციელა ის საინვესტიციო ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრული იყო 2007-08 წლებში, ხელისუფლებას შეეძლო უკან გამოეთხოვა ეს ქონება.

გიორგი ტყემალაძის თქმით, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება იყო შესრულებული და სწორედ ეს გახდა ამ ტერიტორიის მონაცვლეობაზე მსჯელობის მიზეზი.

ლილე ლიპარტელიანმა სხდომაზე წარადგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც „ვისოლ ჯგუფს“ ვალდებულება მოხსნილი აქვს 2020 წელს და რომ წინა ხელისუფლებას ვადები არ ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, დღევანდელ ხელისუფლებას, სურვილი რომ ჰქონოდა, შეეძლო მიეცა ეს ვადები და შემდგომ დაეწყო საქმისწარმოება. ასევე, სურვილის შემთხვევაში, მას შეეძლო იმ ფასად გამოესყიდა შენობა, რა ფასადაც „ვისოლ ჯგუფს“ ჰქონდა ნაყიდი და ამასთანავე, შეეძლო არ მოეხსნა ვალდებულება.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ 2020 დადასტურდა არა საინვესტიციო ვალდებულების შესრულება, არამედ ათწლიანი ვადის შენარჩუნება, ხოლო რაც შეეხება საინვესტიციო ვალდებულების ვადას, ეს უკანასკნელი განსაზღვრული იყო 2 წლით.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან სპორტზე და სპორტულ ობიექტებზე საუბარი უხერხულია, რადგან წინა ხელისუფლება, სატრანსპორტო მოედნების გარდა, ყიდდა სპორტულ მოედნებს, მათ შორის: სიონის სტადიონი მუხიანში, ფეიქრების სტადიონი ნამალადევეში, საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული სტადიონი, „მერანის“ სტადიონი ისანში, ე.წ. „ზემკას“ სტადიონი, „ავაზას“ სტადიონი, „ზოოვეტის“ სტადიონი, „მთვარის გლობუსი“ და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა ნათლად დაგვანახებს, თუ რა მემკვიდრეობასთან აქვს საქმე დღევანდელ ხელისუფლებას და რამდენად ძვირი უჯდება თითოეულ თბილისელს და ხელისუფლების წარმომადგენელს იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რომ ეს ტერიტორიები დაუბრუნდეს ქალაქს. განაცხადა, რომ ყველა მსგავსი ტერიტორია, რომელიც დაუბრუნდება ქალაქს, დაიბრუნებს თავის ისტორიულ ფუნქციას, მათ შორის, ანა გოგოლაძის მიერ ხსენებული ველოტრეკის ტერიტორია, რადგან შეუფასებელია ის ისტორიული ნიშა, რომელიც ამ და ყველა დანარჩენ ობიექტს აქვს. გიორგი ჩაკვეტაძემ ასევე, ისაუბრა ახალგაზრდულ პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც, წინა წლებისგან განსხვავებით, მოხდება არა მხოლოდ სოციალურად დაუცველი, არამედ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დაფინანსებაც, მათ შორის, პირველკურსელ სტუდენტებსაც ეძლევათ შესაძლებლობა, სწავლის დაფინანსება მოხდეს თბილისის მერიის მხრიდან. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა ახალგაზრდებზე ზრუნვის კიდევ ერთი მაგალითია და ის პროგრამა, რომელიც დღეს ხორციელდება, მიმართულია არა მხოლოდ ახალგაზრდობის, არამედ, ზოგადად, ჩვენი ქალაქის განვითარებისა და უკეთესი ხვალისდელი დღისკენ.

ლევან ჯაფარიძე გამოეხმაურა სპორტული სტადიონების გასხვისების თემას და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას, წინა ხელისუფლების შეცდომების გამოსწორებისთვის, რომ ქალაქს და მოსახლეობას დაუბრუნდეს ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტები, ნამდვილად ძალიან ძვირი საფასურის გადახდა უწევს, რასაც კარგად ხედავენ ჩვენი თანამოქალაქეები. ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც წინა ხელისუფლებამ „კარგად არ იაქტიურა და დატოვა ხელჩასაჭიდი“, ტერიტორიების დაბრუნება მოხდა არა ფულის, მაგრამ დიდი შრომის ფასად, რისი მაგალითიც არის 2007 წელს გასხვისებული ხეივანის ტერიტორია, რომელიც ყველანაირი საფასურის გადახდის გარეშე დაუბრუნდა ქალაქს, მოეწყო სკვერი და ფუნქციონირებს სტადიონი. ლევან ჯაფარიძემ ასევე, ისაუბრა კრწანისის რაიონში განხორციელებულ ორ მნიშვნელოვან პროექტზე, რომლის ფარგლებშიც სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მეტეხის ხიდს და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, კრწანისის ქუჩას, რითიც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და უამრავი ადამიანისთვის, ვინც სარგებლობდა ამ ქუჩით, მოგვარდა წლების განმავლობაში არსებული საკმაოდ სერიოზული პრობლემები, რისთვისაც მადლობა გადაუხადა თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ამ პროექტების განხორციელებაში.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ ისნის რაიონში არსებული კრივის დარბაზი გასხვისებული იყო სწორედ იმ პირობით, რომ კერძო მესაკუთრეს ათი წელი უნდა შეენარჩუნებინა პროფილი, თუმცა ამ დროის განმავლობაში, იქ იყიდებოდა საბურავები. ასევე, კერძო საკუთრებაშია სტადიონი „მერანი“, თავისი დამატებითი ორი სტადიონით. მისი თქმით, კრივის დარბაზის მესაკუთრე არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას უჩივის, რომ ართმევს საკუთრებაში არსებულ ქონებას და რადგან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აღშფოთდნენ იმით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამა თუ იმ კერძო მესაკუთრეს ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის უკან გამოსყიდვაში უხდის თავის დროზე გადახდილი თანხის სამმაგ

ოდენობას, მიმართა მათ, რომ მათმა კოლეგამ ხსენებული ქონება დაუბრუნოს ქალაქს იმ ფასად, რა ფასადაც აქვს ნაყიდი ან შედარებით მისაღებ ფასად.

ირაკლი ხელაძემ ისაუბრა სპორტული სტადიონების გასხვისების თემაზე და განაცხადა, რომ ეს არ არის დღევანდელი ხელისუფლების არჩევანი, ეს არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გუნდის ნამოქმედარის მიმღე მემკვიდრეობის შედეგი. მისი თქმით, ისტორიული საფეხბურთო საბავშვო სკოლის „ნორჩი დინამოს“ ტერიტორია, რომელიც გასხვისებული იყო წინა ხელისუფლების დროს, დღეს ტყედ არის გადაქცეული. განაცხადა, რომ რა ფასიც არ უნდა დაუჯდეს ქალაქს, ეს ტერიტორია არის დასაბრუნებელი და მიმართა ყველას, ვისაც ხელეწიფება აღნიშნული პრობლემის მოგვარება, ერთად დაიწყონ ამ საკითხზე მუშაობა. უახლოეს წარსულში, მიღებული იქნა ამაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როდესაც ქალაქმა დაიბრუნა მიხეილ მესხის მიერ დაფუძნებული სპორტული სკოლა „ავაზა“, რომელიც ასევე გასხვისებული იყო წინა ხელისუფლების დროს და ეს საკითხიც დაკავშირებული იყო „ვისოლთან“ და ზოგადად, ესეთი გასხვისებული ტერიტორიების დაბრუნება დღევანდელი ხელისუფლებისთვის ძალიან არაკომფორტული პროცესია, რადგან უწევს საკმაოდ მნიშვნელოვანი აქტივის დათმობა. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლება, გარკვეულწილად, არის იმის გარანტი, რომ ამ ქალაქში აღარ მოხდეს იმის მსგავსი ქმედებების განხორციელება, რასაც ახორციელებდა წინა ხელისუფლება. ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა რევაზ სოხაძის მიერ გაჟღერებულ საკითხს და აღნიშნა, რომ ავარიული სახლების მიმართულებით არსებული პრობლემა მრავალი წელია აწუხებს ქალაქს და ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ განხორციელდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პირველი პროექტი. აღნიშნა, რომ ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ავარიული კორპუსების მაცხოვრებლებს და მოუწოდა მათ აქტიურად ითანამშრომლონ მუნიციპალიტეტთან. ირაკლი ხელაძე ასევე, გამოეხმაურა კახა კალაძის მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს, რომ ის არის კორუმპირებული და რომ მისი მერობის პირობებში ყველაფერი ცუდი ხდება ამ ქალაქში და განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია თბილისის ბიუჯეტის გაზრდილი პროექტი, რომელიც კვლავაც ისტორულ ნიშნულზეა და სწორედ კახა კალაძის თაოსნობით და მისი მერობის პერიოდში მოხერხდა ის, რომ ქალაქს თანხობრივად გასჩენოდა ამხელა შესაძლებლობები, რაც სამომავლოდ აისახება ჩვენს დედაქალაქზე და თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეზე, რადგან აღნიშნული თანხები მოხმარდება უფრო მეტი სკვერის მოწყობას, უფრო მეტი სპორტული მოედნის აღდგენას და გაზრდილი ბიუჯეტით და შესაძლებლობებით მივიღებთ ძალიან ლამაზ და კომფორტულ ქალაქს.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ მისი დღევანდელი გამოსვლა არ უკავშირდება თბილისის პრობლემატიკას, მაგრამ უკავშირდება მათ კოლეგას და ზოგადად, საკრებულოებში არსებულ მდგომარეობას, რაც მათთვის, როგორც დედაქალაქის საკრებულოს წევრებისთვის და ზოგადად, პოლიტიკოსებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. მან ისაუბრა წალენჯიხის საკრებულოს მაჟორიტარ წევრზე, გელა აბულაძეზე, რომელიც გუშინ, მოსამართლემ, რამდენიმეთვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ, გაათავისუფლა სასამართლო დარბაზიდან. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება, მას შემდეგ, რაც მან გაითვალისწინა დაცვის მხარის დასაბუთება, რომ მის პატიმრობაში დასატოვებლად არ არსებობდა არანაირი დასაბუთება მისასალმებელია, მაგრამ ამავდროულად შეუძლებელია პროტესტი არ გამოხატოს იმ უკანონობის მიმართ, რაც მმართველმა პარტიამ სუსისა და პარტიას დაქვემდებარებული სასამართლოს მიერ გამოიჩინა მათი კოლეგის მიმართ და უკანონოდ ჩამოაშორა საკრებულოს საქმიანობას. მისი თქმით, ამით თავად გელა აბულაძეს არაფერი დაკლებია, პირიქით, ის ამ ბრძოლიდან გამოვიდა გამარჯვებული, ხოლო „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად ძალიან ბევრი დააკლდა, რადგან ყველამ კარგად დაინახა, თუ როგორ არასამართლიანად ექცევა ის პოლიტიკურ ოპონენტებს. გიორგი შარაშიძემ გელა აბულაძეს მიულოცა გამარჯვება, განაცხადა, რომ მან, თავისი შეუპოვრობით, გაუტეხელობით, ერთგულებით და სიმამაცით ბოლომდე მოახერხა და დაამტკიცა, რომ არის მართალი ადამიანი და იმედი გამოთქვა, რომ სასამართლო საბოლოოდაც გამოიტანს სამართლიან გადაწყვეტილებას და გელა აბულაძეს

ექნება საშუალება სრულფასოვნად დაუბრუნდეს თავისი ქვეყნის, ქალაქის და რაიონის სამსახურს. საუბრის ბოლოს, იმის იმედიც გამოთქვა, რომ გელა აბულაძე იქნება ბოლო პოლიტიკური პატიმარი საქართველოში და საქართველოს სასამართლო ხელისუფლება საბოლოოდ გათავისუფლდება გავლენებისგან, რაც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად არის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ის, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ქალაქს ურბანული თვალსაზრისით დამართა, ნამდვილად იყო „უბედურება და „თითით საჩვენებელი ცუდი მმართველობის მაგალითია“ ძალიან ბევრი თვალსაზრისით, თუმცა, დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ ყველაფრიდან მაგალითი ვერ გამოიტანა. მისი თქმით, ის ხალხი, რომელიც, ფულის მოხვეჭის მიზნით, წლების განმავლობაში ყველაფერზე აწერდა ხელს და ის ბიზნესმენები, რომლებიც წარმოადგენდნენ წინა ხელისუფლების „ფულის ტომრებს“, დღეს, ზუსტად იგივე წარმატებით აგრძელებენ კონკრეტული ლგოტების მიღებას დედაქალაქის ხარჯზე. მხოლოდ მიმდინარე სხდომაზე რამდენიმე საკითხია, რომელიც „ვისოლ ჯგუფს“ უკავშირდება, მათ შორის ჯავახეთის ქუჩაზე, ძალიან გადატვირთული სატრანსპორტო კვანძის ტერიტორიაზე ვაძლევთ სწრაფი კვების ობიექტის მოწყობის უფლებას და ამასთანავე, იღებს ყველანაირ შეღავათებს. მისი თქმით, ფხაკაძეები და კონკრეტულად „ვისოლ ჯგუფი“ დღეს, მდიდრდება დიდწილად თბილისის ხარჯზე, იქნება ეს ავტობუსებზე რეკლამები, ბანერები, კოეფიციენტის მომატება თუ ზონალური ცვლილებები, ყველაფრით საგებლობენ, რითიც შეიძლება რომ ისარგებლონ და დღეს თუ „ქართულ ოცნებას“ გაამხნევენ, ხვალ სხვა ხელისუფალს გაამხნევენ, რადგან ასეთია ამ ხალხის ბუნება. საბა ბუაძემ ისაუბრა მყარი ნარჩენების და დასუფთავების კუთხით თბილისში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ ამ მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, კერძოდ, „თბილისერვის ჯგუფის“ საავტომობილო და სპეცტექნიკის განახლება ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა. ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო მიმართულებაზე, სადაც, მისი თქმით, გვაქვს მცირე პროგრესი და აღნიშნა, რომ ჩვენ გვყავს ისეთი დონორები, რომლებიც ეხმარებიან დედაქალაქს და მათგან ვიღებთ ათეულობით და ასეულობით მილიონი ლარის დახმარებას, რომლის ხარჯზეც ხდება დასუფთავების მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, სატრანსპორტო სისტემის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარება, მაგრამ მაშინ, როდესაც დასავლეთი ასე გულუხვად გვეხმარება, კახა კალაძემ ეს ზაფხული გამოიყენა იმისთვის, რომ შეერთებოდა კობახიძის, ლარიბაშვილის და სხვათა „სამარცხვინო“, ანტიდასავლურ რიტორიკას, თავს ესხმოდა ჩვენს ევროპელ პარტნიორებს და აღრმავებდა იმ რიტორიკას, თითქოს დასავლეთს ამ ქვეყანაში უნდა ომი. თუმცა, დონორების დახმარებით ნაყიდი ნაგვის მანქანების ფონზე ფოტოების გადაღება, ახალ ავტობუსებში მგზავრობა და ახალი შუქნიშნებით თავის მოწონება ნამდვილად მოსწონს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ერთი ხელით იღებს დახმარებას და მეორე ხელით აგინებს დასავლეთს, რაც აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და სამარცხვინო დამოკიდებულებაა, იმიტომ, რომ ჩვენი გადარჩენა, განვითარება და კეთილდღეობა დღეს გადის სწორედ ევროკავშირზე, გადის ამერიკის შეერთებულ შტატებზე და გადის იმ ადამიანებზე და პარტნიორებზე, რომლებიც ეხმარებიან ჩვენს ქვეყანას“.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე აქტიურად იყო საუბარი სპორტსა და პოლიტიკაზე, მაგრამ არავის უხსენებია თუ როგორ წაართვეს მას და მის ოჯახს რუსთავში არსებული არა მხოლოდ ტრეკი, არამედ ბრენდიც კი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ზოგადად, ყველამ კარგად იცის, თუ როგორ ხდებოდა ბიზნესების გადაბარება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თუმცა, სამწუხაროდ, ამას არავინ ემიჯნება. შალვა ოგბაიძის თქმით, დღეს ბედნიერებაა ის, რომ ქუჩაში გამვლელმა არ იცის ვინ არის ფინანსური პოლიციის უფროსი და ვერ გიპასუხებს სად არის თბილისის საგადასახადო მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების დროს „ბრენდად იქცნენ“ კუჩერაშვილი და სხვანი. შალვა ოგბაიძემ ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო მიმართულებაზე და აღნიშნა, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამალღების და ნაკადების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მთელ ევროპაში და მსოფლიოში, მუნიციპალიტეტები ხარჯავენ ფულს, მოედნებიდან გაყავთ

მოსახლეობა იმისთვის, რომ შექმნან ერთგვარი ბუფერული სივრცე სატრანსპორტო ნაკადების უშუქნიშნოდ მოგვარების მიზნით, თუმცა, ყველამ კარგად იცის, რა ბედი ეწია სასტუმრო „აჭარის“ წინ არსებულ მოედანს. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლება არავის არაფერს ართმევს და ავტოფარეხსაც კი არ იღებს თუ არ არსებობს ამხანაგობის კონსესუსი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მისთვის ამ თემას ხანდაზმულობის ვადა არ აქვს და ყოველთვის, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ისაუბრებენ ამ საკითხებზე, შეახსენებს, რა ხდებოდა მათი პარტიის ხელისუფლების პირობებში და რა ხდება დღეს.

ნინო წულაძემ ისაუბრა „ქართული ოცნების“ შემომწირველებზე და მათ ბიზნესებზე, რომლებიც, მისი თქმით, პირდაპირ კავშირშია ქალაქის განაშენიანებასთან, რაც, ფაქტობრივად, ხდება არა გენ.გეგმის და განაშენიანების წესების მიხედვით, არამედ მათი პირადი ინტერესების მიხედვით და განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველ საკითხებში, ფაქტობრივად, განაშენიანების რეგულირების გეგმის და გეგმარებითი დავალების დამტკიცების მოთხოვნით შემოსულ განცხადებებში, განმცხადებელთა 50%-ზე მეტში ფიქსირდება „ქართული ოცნების“ მსხვილი შემომწირველები, რაც, მისი აზრით, სამარცხვინო პრეცედენტია. განაცხადა, რომ ჩვენ და ჩვენმა საერთაშორისო მეგობრებმა აქამდე იცოდნენ, რომ „ქართული ოცნება“ არაფორმალურად იმართებოდა ივანიშვილის მიერ, თუმცა ეხლა მას დაემატნენ პარტიის შემომწირველები, რადგან, უმრავლესობის წევრები საკრებულოში, სწორედ ამ შემომწირულობებით „იმარებენ სკამებს“. მისი თქმით, სამარცხვინოა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყველა აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოს აძლევს ფორმალურ სახეს, რადგან არათუ ოპოზიციას, უმრავლესობასაც არ აქვს იმის ბერკეტი, რომ შეეწინააღმდეგოს იქიდან გამოგზავნილ შინაარსს და იბრძოლოს ქალაქში ქოტური განაშენიანების აღმოფხვრისთვის და არა ვიღაცის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. ნინო წულაძე გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებას, რომ ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არის ადამიანი და ისაუბრა სანდრო ეულის N7ა-ში არსებულ მდგომარეობაზე, სადაც კომპანია „გრინ ლენდი“ იგივე „ანაგი“ აშენებს კორპუსს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ირგვლივ ხუთი კორპუსია და ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, დადგენილია მეორე ხარისხის ავარიულობა. ამასთანავე, არის გეოლოგიური დასკვნები, რომ ამ ტერიტორიაზე არ შეიძლება ბურღვითი სამუშაოების ჩატარება, თუმცა, სრული ტექნიკური ხარვეზებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა და დღეს, იქ მაცხოვრებელი ადამიანები, მომეტებული საფრთხის პირობებში, ყოველდღიურად ელოდებიან კორპუსების ჩამონგრევას. მისი თქმით, ეს არის სავალალო პროცესი, რადგან ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არიან ის ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ იმ ბიზნესს, რომლითაც შემდგომ თავად „ითბობს ხელს“, რადგან სწორედ ეს შემომწირველები ურიცხვან იმ თანხებს, რომლითაც წინასაარჩევნოდ ყიდულობს ხმებს. ნინო წულაძე ასევე, გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის განცხადებას, რომ ქალაქს, რა ფასის გადახდაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გამოისყიდოს კონკრეტული სპორტული მოედანი და შეახსენა მას უმრავლესობის განცხადებები სიონის საფეხბურთო მოედნის ტერიტორიასთან დაკავშირებით, როდესაც ამბობდნენ, რომ ქალაქის ბიუჯეტი ვერ გაწვდებოდა ამ ტერიტორიის გამოსყიდვას და დაინტერესდა, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე თვეებია ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოსახლეობის პროტესტი, რატომ არავინ არაფერს ამბობს ამ სპორტულ მოედანზე მაშინ, როდესაც მთელი მიმდინარე სხდომა ფაქტობრივად მიემდვნა სპორტულ მოედნებს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გასხვისებულ ტერიტორიებზე საუბარს. მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იწონებენ ბიუჯეტის გაზრდაზე, თუმცა არ აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტი გაზრდილია ჯარიმების ხარჯზე და განაცხადა, რომ, როდესაც უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ ეს თანხები მოხმარდება ჩვენი მოსახლეობის და ქალაქის ინტერესებს, იქვე უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის გაზრდა ხდება სწორედ მოსახლეობის მიერ გადახდილი ჯარიმების ფულით, რომელთა შინაარსს არ ჩაუღრმავდება. საუბრის ბოლოს, ისაუბრა ფემიციდზე, აღნიშნა, რომ ქვეყანაში და მათ შორის ქალაქშიც ამ მიმართულებით იმატა შემთხვევების რაოდენობამ და თხოვნით

მიმართა კოლეგებს, თუ შესაძლებელი იქნება, უახლოეს პერიოდში, გენდერული საბჭოს შემადგენლობის ფარგლებში, განვიხილოთ, როგორ შეიძლება ოჯახში ძალადობის და ქალზე ძალადობის პრევენცია, რათა შევასრულოთ ჩვენი როლი, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ნინო წულაძის მიერ „სიონის“ სტადიონთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით ნამდვილად მიმდინარეობს მოსახლეობის პროტესტი. მისი თქმით, ხსენებული ტერიტორია გაიყიდა 2005 წელს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა არანაირი ვალდებულება, რომ მომავალში განვითარებულიყო სპორტული მიმართულებით და აქედან გამომდინარე, იურიდულად საერთოდ გაქრა იმის კვალი, რომ ოდესღაც ამ ტერიტორიაზე არსებობდა სპორტული სტადიონები, ხოლო 2008 წელს გაიყა პირველი განაშენიანების რეგულირების გეგმა, რითიც „მოპარეს ეს ტერიტორია მუხიანელებს“. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, მოსახლეობას დაუბრუნდა წინა წლებში გაყიდული არაერთი ტერიტორია, მათ შორის: მუხიანში, II მიკრორაიონის მე-3 კორპუსის მიმდებარედ არსებული 1800 კვ.მ. რეკრეაციული ზონა, რომელზეც მომავალ წელს, რაიონის გამგეობის მიერ, მოეწყობა რეკრეაციული სივრცე; გლდანის I მიკრორაიონში, მე-10 კორპუსის მიმდებარედ არსებული სტადიონი, რომელზეც გასულ წელს, სტადიონთან ერთად, მოეწყო რეკრეაციული სივრცე; მუშაობა მიმდინარეობს გმირ კურსანტებზე გაყიდული ტერიტორიის ადგილმონაცვლეობაზე, რათა მოსახლეობას დაუბრუნდეს რეკრეაციული სივრცე. კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ხორციელდება ძალიან დიდი სამუშაოები, თუმცა, დედაქალაქს ადგილმონაცვლეობისთვის რესურსი აღარ აქვს დარჩენილი და იმ მოცემულობაში, რაც დღეს თბილისს აქვს, შეუძლებელია რომ ჩვენ ათობით ობიექტი ერთდროულად გამოვისყიდოთ.

ნიკოლოზ კახეთელიძე გამოეხმაურა ნინო წულაძის განცხადებას, რომ არ ჩაუღრმავდება ჯარიმების შინაარსს და განაცხადა, რომ როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ლანძღავენ მმართველ პარტიას, ხშირად შინაარსში ჩაუხედავად აკეთებენ განცხადებებს და საუბრობენ არა პრობლემაზე, არამედ, მათი მიზანია აგინონ კახა კალაძე და საკრებულოში წარმოდგენილი „ქართული ოცნების“ გუნდი. ასევე, გამოეხმაურა საბა ბუაძის მიერ ფხაკაძეებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ თუ ვინმე ყიდულობს ასეთ ქონებას, ის აუცილებლად ბიზნესმენია და ამ თემაზე საუბარი იმ ადამიანისგან, რომელიც წარმოადგენს ბიზნესმენების პარტიას, ცოტა უხერხულია. მისი თქმით, არაერთი ისეთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, სადაც გრგ-ების და ზონის ცვლილებების მოთხოვნის განმცხადებელი ორგანიზაციები და ბიზნეს სუბიექტები აფელირებულია მის პარტიასთან და ამიტომ უმჯობესია ვიყოთ ობიექტურები. ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ თუ რამე ისეთი გაკეთდა, რომელსაც ოპოზიცია გვერდს ვერ უვლის, მათ შორის ტრანსპორტის საკითხები, საგზაო ინფრასტრუქტურა, საბა ბუაძე ყოველთვის აქცენტს აკეთებს დონორ ორგანიზაციებზე და არ ახსენებს კახა კალაძეს და იმ გუნდს, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოში, რაც, მისი აზრით, არასწორია. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საქართველოში არ იარსებებდა არცერთი ბანკი, რითიც თავს ვიწონებთ ყველა - უმრავლესობაც და ოპოზიციაც, რომ არა დონორი ორგანიზაციები.

მამუკა გუგუშვილი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის განცხადებას „ნორჩი დინამოს“ სტადიონთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს სტადიონი იყო კერძო საკუთრება და მისი მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ ტერიტორია გადასცემოდა მუნიციპალიტეტს და აშენებულიყო სკოლა. მისი თქმით, ხსენებული ტერიტორია კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო შევარდნაძის დროს, ხოლო წინა ხელისუფლების დროს, მესაკუთრე დაპატიმრებული იყო იმის გამო, რომ გაასხვისა ეს ტერიტორია. ასევე, გამოეხმაურა გიორგი ჩაკვეტაძის მიერ ჩამოთვლილ ტერიტორიებს და აღნიშნა, რომ „სინათლის“ სტადიონი, რომელიც იყო ფეხბურთის, გადაკეთდა რაგბის სტადიონად და ერთ-ერთი, რითიც დღეს რაგბისტები ამყოფენ, ეს არის სწორედ „სინათლის“ სტადიონი. ხოლო რაც

შეეხება „მერანის“ და დანარჩენ სტადიონებს, წინა ხელისუფლების დროს კი არ გასხვისდა, არამედ უკვე გასხვისებული იყო კიდევ უფრო წინა ხელისუფლების პერიოდში და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მამუკა გუგუშაშვილი ასევე, გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჯადის განცხადებას ადამიანის უფლებების დაცვაზე და განაცხადა, რომ მას ალბათ ეცოდინება როგორ გაიყიდა და კერძო საკუთრებაში გადავიდა თბილისის ჭიდაობის ფედერაცია და ასევე, ეცოდინება ბევრი მოჭიდავე, მათ შორის, ზურაბ დათუნაშვილი რატომ გახდა ევროპის ჩემპიონი სხვა ქვეყნის სახელით. გამოეხმაურა შალვა ოგბაიძის განცხადებას და მიმართა მას - „თუ რამე მსგავსი მოხდა, პირადად მე გიხდით ბოდიშს“, თუმცა 2014 წელს, დავით ნარმანიას მერობის პერიოდში, ანალოგიური სიტუაცია შეემთხვა მას და მის ოჯახს, როდესაც თბილისის ხელისუფლების წარმომადგენლებს სთხოვდა, ინვესტიცია ჩადოთ მის სპორტულ კომპლექსში, სადაც აღიზარდა უამრავი სპორტსმენი, რათა შენარჩუნებულიყო კომპლექსი, თუმცა დღეს, ამ ტერიტორიაზე აშენებულია ორმოცდასამი კორპუსი და მოვა დრო, როდესაც ფაქტებით ისაუბრებს იმაზე, თუ ვის მიერაა აშენებული ეს კორპუსები. მამუკა გუგუშაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან კარგია, როდესაც საქმე კეთდება და არ არის საჭირო იმაზე საუბარი, თუ ვისი ხელისუფლების დროს რა გაკეთდა. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტმა პარკირების ჯარიმის გადასახადი 10 ლარიდან 50 ლარამდე გაამძვირა და განაცხადა, რომ შესაძლებელია სწორია ამ მიმართულებით ჯარიმის ოდენობის გაზრდა, მაგრამ პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს ქალაქში პარკირების პრობლემა, რაც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა დაპირებადვე დარჩა და ამის შემდეგ მოხდეს ჯარიმის ოდენობის გაზრდა.

ნინო კვიციანიშვილი გამოეხმაურა შალვა ოგბაიძის განცხადებას, რომ დღეს არავინ იცის, თუ ვინ არის ფინანსური პოლიციის უფროსი და აღნიშნა, რომ 2007-14 წლებში, როდესაც იყო სკოლის დირექტორი, ნამდვილად არ იცოდა, რას წარმოადგენდა სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური ან პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, რადგან არანაირი შეხება მათთან არ ჰქონდა, თუმცა 2014-15 წლებში, როდესაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში იყო განათლების სამინისტროში დეპარტამენტის უფროსი, ნახა თუ როგორ „აფათურეს ხელი“ სკოლის დირექტორების შერჩევის კონკურში, სადაც თავად იყო კომისიის წევრი და ამის შემდეგ დატოვა თანამდებობა. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ შესაძლოა არსებობდეს რაღაც არგუმენტები წარსულის გახსენებისას, მაგრამ ამავდროულად არ უნდა დაგვაფიქვდეს „დირე საკუთარ თვალში“. ასევე, გამოეხმაურა სპორტსმენების მისამართით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ პატივს სცემს ყველა იმ სპორტსმენს, ვინც აღწევს რაიმე, თუნდაც მცირე წარმატებას ან ცდილობს იყოს წარმატებული და მაღლობა გადაუხადა არა მხოლოდ კვარაცხელიას, არამედ ყველა სპორტსმენს, მათ შორის იმასაც, ნიჩბისნობაში კანოეთი რომ მიაღწია წარმატებას. მისი თქმით, მასლოუს თეორიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებული არ არის ორგანული მოთხოვნილებები, ადამიანი ვერ აღწევს თვითაქტუალიზაციას და მიმართა დარბაზში მსხდომ სპორტსმენებს - „როდესაც თქვენ ვარჯიშობდით და წარმატებას აღწევდით, მშიერი იყავით? ან კალაძე, რომელმაც ნამდვილად მიაღწია ფეხბურთში წარმატებას, მშიერი ვარჯიშობდა?“ ნინო კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ იმაზე არ უნდა ვიდაოთ, რასაც მედიცინა ადასტურებს და არათუ სპორტში, არამედ ნებისმიერ საქმეში, ადამიანმა რომ წარმატებას მიაღწიოს, მას დაკმაყოფილებული უნდა ჰქონდეს ორგანული მოთხოვნილებები. აქედან გამომდინარე, ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ ოჯახების ფინანსური მდგომარეობა ან როგორ შეიძლება უზრუნველყოთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა სასკოლო კვების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა მამუკა გუგუშაშვილის განცხადებას სპორტული სტადიონების გაყიდვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გიორგი ჩაკვეტაძის მიერ ჩამოთვლილი სტადიონები გაყიდული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს, მათ შორის „ავაზას“ სტადიონიც, რომელზეც იყო საუბარი და არავითარ კიდევ უფრო წინა ხელისუფლებას არ გაუყიდა ისინი. რაც შეეხება მამუკა გუგუშაშვილისთვის სტადიონის

წართმევას, განაცხადა, რომ ჯოზეფ ქეი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, პარტნიორი, რომელმაც წართვა ქონება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს და თუ მამუკა გუგუშაშვილსაც მან წართვა ქონება, არასწორი პარტიის სიით ყოფილა მოხვედრილი საკრებულოში.

გივი ჩხარტიშვილი გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის მიერ ხვიჩა კვარაცხელიასა და ირაკლი კობახიძესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ხვიჩა კვარაცხელია კიდევ არაერთხელ გაახარებს ქართველ გულშემმატკივრებს, ხოლო რაც შეეხება ირაკლი კობახიძეს და კახა კალაძეს, ამ ადამიანებმა ოპოზიცია ამხილა ქვეყნის მოღალატეობრივ საქციელებში, თბილისის გამარცვავში და საზოგადოების წინაშე წარადგინა იმ სახით, რა სახითაც არის წარმოდგენილი. მისი თქმით, საერთოდ გაუგებარია რაზე უნდა ვისაუბროთ მაშინ, როდესაც მამუკა გუგუშაშვილი ამბობს, რომ ადამიანი დაიჭირეს იმიტომ, რომ გაყიდა კერძო საკუთრება. მისი თქმით, მთავარი პრობლემა არის იმაში, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასწავლიან როგორ მოიქცნენ, როგორ მართონ დედაქალაქი და რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოებასთან აქვს აქტიური კომუნიკაცია, იცის რა განწყობაა დედაქალაქის მოსახლეობაში და ყოველთვის იდგება „თბილისის და თბილისელების სადარაჯოზე“.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა კომპანია „GWP“-ზე, აღნიშნა, რომ სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩაზე, ყოველ დღე ზიანდება ცენტრალური მაგისტრალი, რის გამოც, გარდა იმისა, რომ ზიანდება გზა, იმატებს გარშემო მდებარე ავარიული კორპუსების ავარიულობის ხარისხი და მიმართა კომპანიის წარმომადგენლებს, რომ მომავალ წელს აუცილებლად მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135² მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-

მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/დაფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M₃ კატეგორიისა და M₂ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრობა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართი N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერადის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.874, N01.19.24.007.875 და N01.19.24.007.876) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დიდ დილოშში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ გშენ 1“-ისთვის (ს/ნ.: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ.: 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებული „ქ.თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ.: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არომას“ (ს/ნ.: 245599990) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ (ს/ნ.: 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, სოფელ დილოშში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: 01.72.14.034.711; ს/კ.: 01.72.14.034.238; ს/კ.: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა

გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/ნ.: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ.: 405198806) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, პეკინის გამზ. N28-ის მიმდებარედ არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.030.069) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისი გულგ კოფე ენდ სნაკს“-ისთვის (ს/ნ.: 402204379) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 424 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.132) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უკვესთვის“ (ს/ნ.: 404474662) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი N17-19-ის მიმდებარედ/რუსთაველის გამზირი N19-ის მიმდებარედ არსებული 274 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.017.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტრედლოსთვის“ (ს/ნ.: 405504850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის“ (ს/ნ.: 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ არსებული 1862 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.72.14.014.980) 52 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ივანიძისთვის (პ/ნ.: 01019032912) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

25. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N5, N6-ში (ნაკვ. 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

26. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.956; N81.02.13.815; N81.02.13.957; N81.02.20.299; N81.02.19.245-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, „ჩალიპირებში“; ქალაქი თბილისი, სოფელი დილოში, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

28. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა N5; N9-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.01.02.595; N81.01.02.580; N81.01.02.618; N81.01.02.819; N81.01.02.590; N81.01.02.880; N81.01.02.581; N81.01.02.879; N81.01.02.857; N81.01.02.599; N81.01.02.945; N81.01.02.818) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

29. „ქალაქ თბილისში, არჩილ ქურდიანის ქუჩა N13, N13ა, N15, N15ა, N17, N19; ქალაქი თბილისი, სლავა მეტრეველის ქუჩა N14, N14ა, N14ბ, N12, N10, N8, N13ა, N6, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.07.017.033, N01.13.07.017.056, N01.13.07.017.057, N01.13.07.017.034, N01.13.07.017.037, N01.13.07.017.015, N01.13.07.017.022, N01.13.07.017.066, N01.13.07.017.067, N01.13.07.017.005, N01.13.07.017.008, N01.13.07.017.011, N01.13.07.017.061, N01.13.07.017.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანში“ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.41.020; N72.13.41.012; N72.13.38.245; N72.13.41.009; N72.13.41.712; N72.13.41.713; N72.13.41.402; N72.13.41.016; N72.13.41.744; N72.13.41.043; N72.13.41.042; N72.13.41.663; N72.13.38.143; N72.13.41.479; N72.13.41.481; N72.13.41.055; N72.13.41.045; N72.13.41.522; N72.13.41.405; N72.13.41.171; N72.13.41.493; N72.13.41.428; N72.13.41.404; N72.13.41.625; N72.13.41.414; N72.13.41.044; N72.13.41.398; N72.13.41.492) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

31. „ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ; N14; N16-ში; ქალაქი თბილისი, გორგასლის II შესახვევი, N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.048; N01.11.04.026.109; N01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ: ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის N01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე (ნაკ. N002/012) დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორიაზე (ნაკ. N002/005) და კახეთის გზატკეცილი N112-ის მიმდებარედ (ნაკ. N002/010) სავაჭრო კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ივლისის N01/1991 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.740; N81.02.21.739; N81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა(საკადასტრო კოდები: N72.16.28.228-ის ნაწილი; N72.16.26.379-ის ნაწილი; N72.16.28.207; N72.16.28.200; N72.16.28.208; 72.16.28.201; 72.16.28.214; 72.16.28.210; 72.16.28.209; 72.16.28.211; 72.16.28.212; 72.16.28.203; 72.16.28.216; N72.16.28.213; N72.16.28.215; N72.16.28.293; N72.16.28.153; N72.16.28.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა(საკადასტრო კოდები: N72.16.28.217; N72.16.28.294; N72.16.28.258) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა, N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.504; N72.16.23.216; N72.16.23.863) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს

„ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „მონოლითი 1“-ის (ს/ნ.: 405494610) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი დასახლება დიდი დიღომი, მე-2 და მე-3 მ/რ-ს შორის (ს/კ.: N01.10.08.006.641) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

45. „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ.: 406228283) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N258 (ს/კ.: 01.10.07.007.093) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

46. „ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ.: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ.: 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ.: N01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ.: N01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

47. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და მირზა ნოზაძის (პ/ნ.: 60001025588) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ჯიქიას ქ.N9 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.14.05.004.014) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

48. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.:N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი N25 (ს/კ.: N01.10.14.008.052) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

49. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173,

N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ურუს გრუპის“ (ს/ნ.: 405453619) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ჯიქიას N9, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.14.05.005.121) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

50. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „დიჯი დეველოპერის“ (ს/ნ.: 405476462) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი მიხეილ ხერგიანის ქ.N17 და 17-ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.11.10.008.218) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

51. „იბა „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ.: 205137449) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N16 (ს/კ.: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

52. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „კონსტრუქშენ გრუპი 2030“-ის (ს/ნ.: 405523955) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.17.14.003.845) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

53. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N 01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „სანამის“ (ს/ნ.: 402191150) მიმართ მისამართებზე: 1. ქ.თბილისი, სოხუმის ქ.6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.13.06.015.005); 2. ქ.თბილისი, ევდოშვილის ქ.25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.:

N01.13.06.015.002); 3. ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ.N35/52-არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.13.06.015.014) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

54. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.“ N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.“ 204460957) და შპს „სექტორი 1“-ს (ს/ნ.: 405282215) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ლევან გოთუას ქ.N20თ-ში (ს/კ.: N01.10.13.010.089) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

55. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის 6 თვის (01.01.2022-01.07.2022) მუშაობის ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

56. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, დოლაბაურის I ქუჩისთვის, დოლაბაურის III ჩიხისთვის, დოლაბაურის გასასვლელისთვის, დოლაბაურის I ჩიხისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

57. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თბინვალაში მდებარე უსახელო სკვერისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ილია ბაბუციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის, I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

62. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

63. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ოთხი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლის, კობა სერგიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

64. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლის, გიორგი ბერიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

65. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

66. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეზრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

67. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

68. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

69. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ფოტორეპორტიორის, ალექსანდრე კლიმჩუკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

70. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

71. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

72. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

73. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის სპორტსმენის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ერთი უსახელო ჩიხისთვის ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

78. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

79. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

80. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N288 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

81. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩის გაგრძელების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ ლაშა მაჭავარიანი დღემდე, წარმატებით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და წარმატებები უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპექცია დატვირთულია ისეთი საქმიანობით, რომ მის ხელმძღვანელს საკმაოდ შრომატევადი საქმიანობა ელის და რამდენიმე კითხვით მიმართა ლაშა მაჭავარიანს. მისი თქმით, სამწუხაროდ, მშენებლობებზე დაცული არ არის სამშენებლო და უსაფრთხოების ნორმები, თუმცა, აქამდე არსებული პრაქტიკით, მუნიციპალური ინსპექცია დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აჯარიმებს მშენებლებს, რომლებიც იხდიან საჯარიმო თანხას, მაგრამ პროცესი არ იცვლება და დაჯარიმებას არ აქვს შედეგი. აქედან გამომდინარე დაინტერესდა, ლაშა მაჭავარიანს ხომ არ აქვს რაიმე კონკრეტული ხედვა ამ მიმართულებით. ასევე, საინტერესოა, მისი მიდგომა გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით, კერძოდ, გარდა იმისა, რომ ადამიანებს ავუკრძალოთ საქმიანობა, ხომ არ აქვს რაიმე კონკრეტული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნება მათი ლეგიტიმური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასევე დაინტერესდა, თუ რა პოზიცია აქვს მას ხმაურის რეგულაციასთან დაკავშირებითაც, რადგან, ეს სფეროც განეკუთვნება მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებას და ამ მიმართულებით კანონში ბევრი ხარვეზია. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძე დაინტერესდა, ითანამშრომლებს თუ არა ლაშა მაჭავარიანი საკრებულოსთან, კერძოდ, მიიღებს თუ არა საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას, მოწვევის შემთხვევაში, დაესწრება თუ არა ფრაქციის ხდომებს და უპასუხებს თუ არა საკრებულოს წევრების წერილობით შეკითხვებს.

ლაშა მაჭავარიანმა იმედი გამოთქვა, რომ მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში საკრებულოს წევრებთან ექნება მჭიდრო კომუნიკაცია, უპასუხა ნინო წულაძის შეკითხვებს და განაცხადა, რომ აუცილებლად გაეცნობა სამართლებრივ ნორმებს და თუ რაიმეს გაუმჯობესების შესაძლებლობა იქნება მშენებლობებზე სამშენებლო და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით, კანონმდებლებთან ერთად, სამსახური იმუშავებს ამ საკითხებზე. გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ, მისი ინფორმაციით, სანამ გარე მოვაჭრეებს აეკრძალებათ საქმიანობა, ხდება მათი გაფრთხილება და ალტერნატიული, მოწესრიგებული ფართის შეთავაზება. აქვე აღნიშნა, რომ ხმაურის ნორმები რეგულირდება კანონით და, რა თქმა უნდა, სამსახურის მიერ დაცული იქნება კანონის მოთხოვნები.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალური ინსპექციის პირდაპირი მოვალეობა არ არის შრომის უსაფრთხოება, თუმცა, გარდა იმისა, რომ სამსახური, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოვლენილ დარღვევებზე წერს აჯარიმებს, ასევე, წერს რეკომენდაციებს, და შემდეგ ხდება შემოწმება, გამოსწორდა თუ არა არსებული დარღვევები და იმის თქმა, რომ ამ მიმართულებით შედეგი არ არის არასწორია, რადგან მნიშვნელოვნად შემცირებულია სამუშაო ადგილებზე ტრავმატიზმი და სიკვდილიანობა.

ზვიად კუპრავეამ აღნიშნა, რომ ლაშა მაჭავარიანი ინიშნება ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე, წარმატებები უსურვა მას და დაინტერესდა, როგორ უყურებს ქალაქში, სხვადასხვა მიზნების გამო, შეჩერებული მშენებლობების პრობლემის მოგვარების საკითხს.

ლაშა მაჭავარიანმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით მუშაობენ შესაბამისი სამსახურები, აჯარიმებენ მშენებლებს და თუ მშენებლობა ვერ დასრულდება განსაზღვრულ ვადებში, გადაეცემა აღსრულებას.

მამუკა გუგუშვილიამ იმედი გამოთქვა, რომ ლაშა მაჭავარიანი იქნება სამართლიანი ხელმძღვანელი და წარმატებები უსურვა მას.

ლილე ლიპარტელიანმა ლაშა მაჭავარიანს წარმატებები უსურვა ქალაქის სასიკეთო საქმიანობაში. განაცხადა, რომ გიორგი ბაჩიაშვილს, წყნეთში, მიტაცებული აქვს სატყეო ზონა და მუნიციპალურ მიწაზე აშენებული აქვს აუზი. აღსანიშნავია, რომ იმავე ტერიტორიაზე, აუზები მოწყობილი აქვთ მიმდებარე კორპუსში მაცხოვრებლებსაც, რაზეც მუნიციპალურ ინსპექციას რეაგირება არ მოუხდენია და დაინტერესდა, რა პოზიცია ექნება ამასთან დაკავშირებით ლაშა მაჭავარიანს და რას მოიმოქმედებს.

ლაშა მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ მიმართოს სამსახურს, რომელიც დარღვევების არსებობის შემთხვევაში, იმოქმედებს კანონის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ ქეთევან შუბითიძე, რამდენიმე წელია მერიის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელია და იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა ახალ თანამდებობაზე წარმატებული იქნება.

საბა ბუაძემ წარმატებები უსურვა ქეთევან შუბითიძეს მომავალ საქმიანობაში, იმედი გამოთქვა, რომ დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად გაართმევს და ითხოვა, ქეთევან შუბითიძეს მოკლედ ესაუბრა იმაზე, თუ რა გამოცდილება აქვს შესყიდვების სფეროში. აქვე, ისაუბრა პირდაპირი წესით შესყიდვებზე და განაცხადა, რომ არა მხოლოდ დედაქალაქის მერიაში, არამედ სახელმწიფო შესყიდვებშიც გავრცელებულია პრაქტიკა, როდესაც კონკრეტული მომსახურების ან საქონლის შეძენა ხორციელდება პირდაპირი შესყიდვით, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას სხვადასხვა ღონისძიების მოწყობის დროს და დაინტერესდა, მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა ქეთევან შუბითიძეს პირდაპირი წესით შესყიდვის განხორციელება, ზოგადად, რას ფიქრობს ამ პრაქტიკაზე, ინფორმირებულია თუ არა თბილისობაზე დაგეგმილი შესყიდვის შესახებ და მისი ხელმძღვანელობის პირობებშიც გაგრძელდება თუ არა ის პრაქტიკა, რომ წინასწარ დაგეგმილ სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებით მომსახურების შესყიდვა ხდება პირდაპირი წესით.

ქეთევან შუბითიძემ ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ თერთმეტი წელია მუშაობს სახელმწიფო შესყიდვებში, პირველი სამსახური იყო რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სადაც მესამე კურსის სტუდენტმა დაიწყო სტაჟიორად მუშაობა, ხოლო ორ წელიწადში გახდა შტატიანი თანამშრომელი. ასრულებდა ისეთ მოვალეობებს, როგორებიც იყო: შესყიდვების დაგეგმვა, გეგმის რეგისტრაცია და ცვლილებები, სატენდერო პროცედურების წარმართვა, ხელშეკრულებების გაფორმება, შესრულების დოკუმენტების სისტემაში რეგისტრაცია, რასაც მოიცავდა შესყიდვების კანონმდებლობა. 2014 წლის მაისში გადავიდა გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში, როგორც შესყიდვების კოორდინატორი, სადაც ახორციელებდა ტენდერების პროცედურების გატარებას, კურირებდა ბაზრის კვლევას, მონაწილეობდა სოფლების გაზიფიცირების პროექტში და კომპანიის სპეც.წესის დამტკიცებაში. 2018 წლის პირველი იანვრიდან დღემდე მუშაობდა თბილისის მერიაში, სადაც მონაწილეობდა, როგორც სატენდერო კომისიის აპარატის საქმიანობაში, ასევე, ტენდერების გამოცხადებაში, კურირებდა საგეგმო, საანგარიშგებო და სავარაუდო

ღირებულების დადგენის განყოფილებას, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა სამსახურების მიერ ინიცირებული შესყიდვების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებაზე და შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენაზე. განყოფილება, დოკუმენტაციის საფუძველზე, ახორციელებდა ბაზრის კვლევას, პოტენციური მიმწოდებლების მოძიებას და ტენდერის გამოცხადების შემდეგ, კომისიის მიერ შერჩეულ გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებას, რის შემდეგაც, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს წარადგენდა ერთიან ელექტრონულ სისტემაში. პირადად კურირებდა შესყიდვების გეგმის დამტკიცებას და შემდეგ, სხვადასხვა სამსახურების მიერ, საკრებულოში წარმოდგენილი ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების შესაბამისად, შესყიდვის საშუალების შერჩევას, წლის განმავლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას და ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებას. ქეთევან შუბითიძემ ისაუბრა გამარტივებულ შესყიდვებზე და აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია, რადგან შესყიდვის შერჩევა ხდება კოდების მიხედვით და ძირითადად, ეს არის ელექტრონული ტენდერი, ხოლო რაც შეეხება სადღესასწაულო ღონისძიებებს, განაცხადა, რომ კანონში არსებული შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმება ხდება სააგენტოს თანხმობის შემდეგ. მისი ინფორმაციით, თბილისობასთან დაკავშირებით უკვე წარდგენილია და ევროკავშირის დადგენილი ზღვრებით, გამოცხადებულია ათი დღე, ხოლო სააგენტოსგან თანხმობის მიღების შემდეგ მოხდება ბაზრის კვლევის ჩატარება. მისი თქმით, ასეთ შემთხვევებშიც კი არსებობს რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს ბაზრის კვლევის ჩატარებას და ძირითად შემთხვევებში, არის ერთზე მეტი მიმწოდებლის შემოთავაზება, რის შემდეგაც ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმება. რაც შეეხება თბილისობის დღესასწაულს, ამ ეტაპზე კონკრეტული პასუხი არ აქვს, ხოლო როდესაც დაიწყება შესყიდვების განხორციელების პროცესი, საჭიროების შემთხვევაში, დეტალურად წარმოადგენს ინფორმაციას.

საბა ბუაძემ ისაუბრა კონკრეტულად საახალწლო ღონისძიებებზე, რომლის მოწყობაშიც, მისი თქმით, დედაქალაქის მერია ხარჯავს მნიშვნელოვან თანხას. განაცხადა, რომ ყოველ წელს დგება ახალი წელი და ყოველ წელს ხდება საახალწლო ღონისძიებების გამარტივებული წესით შესყიდვა და მიმართა ქეთევან შუბითიძეს, ასეთი ტიპის მომსახურების შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელება მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა და თუ მიაჩნია, რატომ?

ვლადიმერ ჭილაძემ უპასუხა საბა ბუაძის შეკითხვას და განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს არა შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, არამედ თბილისის მთავრობა. რაც შეეხება ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიებებს, განაცხადა, რომ წინასწარ არასდროს არის ცნობილი ვინ იქნება რეჟისორი, როგორი სცენა დასჭირდება და ა.შ. აქვე, აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული წესით, თუმცა არის ისეთი გამოწვევები, როდესაც აუცილებელი ხდება გამარტივებული შესყიდვა.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ყველაფერზე ტენდერის გამოცხადება შეუძლებელია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ხელოვანის საქმიანობაზე და მსგავსი ტიპის ღონისძიებები ტენდერით ვერ დარეგულირდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულებები ფორმდება ინდივიდუალურად, პროცესში ჩართულია არაერთი მცირე და საშუალო ორგანიზაცია, რომლებიც ატარებენ ისეთ უნიკალურ ღონისძიებებს, რომელთა ალტერნატივაც არ არსებობს და რომლის ტენდერით შერჩევაც შეუძლებელია.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მან კითხვა დაუსვა ქეთევან შუბითიძეს, რადგან აინტერესებს მისი, როგორც ახალი ხელმძღვანელის, მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა, წინასწარ დაგეგმილი სადღესასწაულო ღონისძიების გამარტივებული წესით შესყიდვის ჩატარება მაშინ, როდესაც ამ ღონისძიებამდე დარჩეულია რამდენიმე თვე და ქეთევან

შუბითიძის ნაცვლად კითხვაზე პასუხის გაცემა არასერიოზულად მიაჩნია. აქვე აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მომღერლების და რეპერტუარის შერჩევას, რადგან შესასყიდი მომსახურება გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე სიმღერების შერჩევა, ტექსტების კორექტურა და კაზეტების დიზაინია.

ქეთევან შუბითიძემ განმარტა, რომ, როგორც შესყიდვების ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, მომხრე იქნება, რომ განხორცილდეს რაც შეიძლება ნაკლები გამარტივებული შესყიდვა, თუმცა, რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, აღნიშნა, რომ შესყიდვების დებულებით, სამსახურის კომპეტენცია არის შესყიდვის პროცედურების წარმართვა კანონმდებლობის დაცვით. ხოლო თუ შესყიდვების სააგენტო გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელებაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, რაც დადგინდება მთავრობის გადაწყვეტილებით და სამსახურს დაევალება ღონისძიების ჩატარება, რა თქმა უნდა, ყველა ხელშეკრულება გაფორმებული იქნება კანონმდებლობის შესაბამისად.

საბა ბუაძე დაინტერესდა, უფიქრია თუ არა ქეთევან შუბითიძეს იმაზე, რომ მიზნად დაისახოს პირდაპირი შესყიდვების პროცენტული მაჩვენებლის კლება მთლიან შესყიდვებში, რადგან ბოლო წლების ტენდენცია იყო პირდაპირი წესით განხორციელებული შესყიდვების წილის შემცირება საერთო შესყიდვებში.

ქეთევან შუბითიძემ განმარტა, რომ ამ მხრივ, შესყიდვების სამსახური ყოველთვის ჩართული იყო პროცესში და თუ სხვადასხვა სამსახურებს ჰქონდათ პირდაპირი შესყიდვის ინიციატივა, ხოლო სამსახური ხედავდა, რომ ვადების გათვალისწინებით და სხვა პარამეტრების დაცვით შესაძლებელი იყო სხვა გზით საკითხის გადაწყვეტა, ყოველთვის ცდილობდა გამარტივებული შესყიდვის წესით ხელშეკრულების გაფორმების თავიდან აცილებას და მომავალშიც ასე გაგრძელებდა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის საერთო მოცულობა იზრდება 19270000 ლარით. ცვლილების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ იზრდება შემოსავლების ის ნაწილი, სადაც არის გადაჭარბების პროგნოზი და ფაქტობრივად მთლიანი თანხა მიმართულია ტრანსპორტის სუბსიდირებაზე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებიდან ერთ-ერთი შეეხება რამდენიმე სპორტული ა(ა)იპ-ს გაერთიანებას და განაცხადა, რომ როდესაც ხდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული რამდენიმე იურიდიული პირის შერწყმა და არ ხდება არც ერთი საშტატო ერთეულის გამოთავისუფლება, მისთვის ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი ადმინისტრაციის ინდიკატორი არ არის ის, რომ მერიაში დასაქმებული ადამიანური რესურსი იყოს ოპტიმალური. ეს კი აღრმავებს კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ადამიანების თანამდებობებზე დანიშვნა შესაძლებელია ხდება კონკრეტული პოლიტიკური, პერსონალური და ნეპოტიზტური ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან სხვანაირად გაუგებარია, როგორ შეიძლება რამდენიმე იურიდიული პირის შერწყმის შედეგად არ გამოთავისუფლდეს არც ერთი საშტატო ერთეული.

გიორგი ჩაკვეტაძის განმარტებით, ოპტიმიზაცია გულისხმობს იმას, რომ სერვისების გაუმჯობესება უნდა მოხდეს ისე, რომ არსებითად არ იყოს შტატების მატება, რასაც ამ შემთხვევაში ნამდვილად არ აქვს ადგილი. უფრო მეტიც, ახალი ა(ა)იპ, გარდა იმისა, რომ აერთიანებს რამდენიმე ა(ა)იპ-ს, ითავსებს სხვადასხვა სერვისს და მას ემატება არაერთი ახალი ფუნქცია. რაც შეეხება ადამიანური რესურსის გადანაწილებას, რა თქმა უნდა, ერთ ა(ა)იპ-ს ვერ ეყოლება ოთხი ხელმძღვანელი, როგორც ეს იყო ოთხი სხვადასხვა ა(ა)იპ-ს შემთხვევაში და ეყოლება ერთი მენეჯერი. ამასთანავე, არ ხდება ისე, რომ ჰყავდეს რამდენიმე დირექტორი ან ემატებოდეს შტატი და არც დამატებითი თანხა არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტიდან, რადგან აქამდე სხვადასხვა ქვეპროგრამებში გაწერილი სხვადასხვა ა(ა)იპ-ს ხელშეწყობა თავს იყრის ერთ ქვეპროგრამაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/დაფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციების დაწერასთან დაკავშირებით, პროტოკოლის მეშვეობით, განსახორციელებელი ქმედებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება არეგულირებს დედაქალაქში პარკირების წესებთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ ტაქსის პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალება გაჩერებულია ტაქსის მანათობლის გარეშე. ასევე, გათვალისწინებულია საჯარიმო

სანქციები იმ შემთხვევაშიც თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას არასწორად იქნება მითითებული ლოტის ნომერი.

ცოტნე კობერიძემ აღნიშნა, რომ პარკირების წესები ცოტა გასამარტივებელია, რადგან ყველა, ვისაც მანქანა ჰყავს, ვერ სარგებლობს ტელეფონის აპლიკაციით და ასეთ შემთხვევაში, მანქანის გაჩერება იმდენ დროს მოითხოვს, რომ ამ ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, ურჩევნიათ დაჯარიმდნენ.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ პარკირების საფასურის გადახდა ტელეფონის აპლიკაციის გარდა, შესაძლებელია სწრაფი გადახდის აპარატებიდანაც, რომლითაც დღეს ყველა ადამიანი სარგებლობს.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ტაქსის სისტემაში ჩართული ტაქსები, ხშირად არიან საცნობი ნიშნის გარეშე და დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება იმ შემთხვევაში, თუ ისინი იდგნენ ტაქსისთვის განკუთვნილ პარკირების ადგილას.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ქალაქში არის „A“ და „B“ კატეგორიის ტაქსები, ანა გოგოლაძის მიერ ხსენებული ტაქსები განეკუთვნება „B“ კატეგორიას, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ პარკირების უფლება ტაქსისთვის განკუთვნილ ადგილას და შესაბამისად, აქამდეც ხდებოდა მათი დაჯარიმება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ტაქსის რეგულაციებში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, თუ ავტომობილი, მათ შორის, ტაქსი ვერ გაივლის ტექნიკურ დათვალიერებას, მფლობელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა ერთთვიანი ვადა, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში არ ეკრძალება ავტომობილით გადაადგილება. წარმოდგენილი ცვლილებით, ტაქსის მძღოლს ეკრძალება მომსახურების გაწევა ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილით და იქიდან გამომდინარე, რომ ტაქსის ნებართვის ადების პროცედურები ხორციელდება სრულად ელექტრონულად, მძღოლი ელექტრონულად მიიღებს ინფორმაციას ნებართვის გაუქმების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ერთმანეთთან კავშირშია და ეხება დედაქალაქში შეღავათიანი მგზავრობის საკითხს. იქიდან გამომდინარე, რომ მეტროსადგურებში ოპერირებას ახორციელებენ და უსაფრთხოებას იცავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მათ, მხოლოდ მეტროში, მიენიჭებათ უფლებამოსილება, რომ საქმიანობა განახორციელონ შეუზღუდავად და ასევე, ემატება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ის თანამშრომლები, რომლებიც მონიტორინგს ახორციელებენ მეტროში, ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში, საუბარია 201 თანამშრომელზე და დაინტერესდა, სააგენტოს დაახლოებით რამდენი თანამშრომელზეა საუბარი. ასევე, საინტერესოა, შსს-ს თანამშრომლები, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გადაადგილდებიან მეტროში თუ არიან ერთ ლოკაციაზე.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ აქამდე იყო 206 თანამშრომელი, ხოლო დღეის მდგომარეობით არის 212. სულ არის 17 სამსახური, მათ შორის ერთ-ერთია მონიტორინგის სამსახური, რომელსაც ჰყავს 40 თანამშრომელი. მისი თქმით, აღნიშნული ფუნქცია დამატებულია დებულებით და საუბარია 40 თანამშრომელზე. შსს-ს თანამშრომლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი ჩადიან და ამოდიან მეტროში და შესაბამისად, რამდენჯერმე უწევთ სამგზავრო ბარათის გატარება.

ნინო წულაძე დაინტერესდა, არის თუ არა სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალურ ტრანსპორტში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ დარღვევები აღირიცხება ელექტრონულად და მოთხოვნის შემთხვევაში, სამსახური წერილობით მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას.

ზვიად კუპრავა დაინტერესდა, თუ რისი განხორციელება ევალება პარტულს მეტროში და ითავსებს თუ არა ის მერიის თანამშრომლების ფუნქციებს.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ პარტულს არ ევალება უბილეთო მგზავრობასთან დაკავშირებულ დარღვევებზე რეაგირება და არ ითავსებს სააგენტოს თანამშრომლის ფუნქციებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M₁ კატეგორიისა და M₂ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქალაქში არის რამდენიმე შენობა-ნაგებობა, რომელთა რეაბილიტაცია განხორციელდა 2013 წლამდე, კონკრეტულად კი, არის ექვსი შენობა-ნაგებობა, სადაც წარმოიქმნა ნამატი ფართი, თუმცა, სამწუხაროდ, რეაბილიტაციის დაწყებამდე, ნამატ ფართზე არ იყო ამხანაგობების და მესაკუთრეების წინასწარი თანხმობა და აქედან გამომდინარე, მათი დარეგისტრირება ვერ ხერხდება ვერც ამხანაგობის და ვერც მუნიციპალიტეტის მიერ. წარმოდგენილი პროექტით ამხანაგობებს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულ საბაზრო ღირებულებას მინუს 30%-ით განახორციელონ ამ ფართების რეგისტრაცია და შემდგომ, მათი სურვილით მოახდინონ ამ ქონების რეალიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის ბიუჯეტში შევიდეს აღნიშნული ქონების ღირებულების 70% თანხა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 151 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2007-08 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხზე მხარდაჭერისგან თავს იკავებს, თუმცა, კენჭისყრის დროს, შეცდომით მხარი დაუჭირა და ითხოვა, აღნიშნულის გათვალისწინება კენჭისყრის შედეგებში.

11. „ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართი N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.058.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 45 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 88 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2008 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.874, N01.19.24.007.875 და N01.19.24.007.876) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 221 კვ.მ. ფართის გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომლებიც 2004-2010 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 176 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელთაგან ერთი 1984, ხოლო მეორე 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, დიდ დილოში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის (ს/ნ.: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადასცემს 3200 კვ.მ. ფართს, რომლითაც დაკმაყოფილება ორმოცი ოჯახი. მშენებლობის ნებართვის აღების ვადა არის ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვე, ხოლო მშენებლობის დასრულების და შენობის ექსპლუატაციაში მიღების - 3 წელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ.: 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებული „ქ.თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ.: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არომას“ (ს/ნ.: 245599990) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია შპს „არომასთვის“ პირგასამტეხლოს პატიება, რომელიც შეადგენს 8900 ლარს და კომპანიას დაეკისრა მშენებლობის ნებართვის აღების და დაზარალებულ პირებზე განშლის რეგისტრაციის ვადის დარღვევისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი ეხება კოოპერატიული

ბინათმშენებლობით დაზარალებულებს და ვადის დარღვევა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო უწყებებში გაწეილი ვადების გამო, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპანიის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ (ს/ნ.: 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, სოფელ დილომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: 01.72.14.034.711; ს/კ.: 01.72.14.034.238; ს/კ.: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/ნ.: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ.: 405198806) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ პირგასამტეხლოს პატიება, რომელიც შეადგენს 17000 ლარს. ამ შემთხვევაში კომპანიამ მშენებლობის ნებართვა აიღო ვადის ფარგლებში და განშლაც ვადის ფარგლებში ჩააბარა საჯარო რეესტრში, თუმცა, ერთ-ერთი დაზარალებული პირის გარდაცვალების გამო, რეესტრაცია ვერ განხორციელდა მანამ, სანამ არ მოხდა სამკვიდროს გახსნა. აქედან გამომდინარე, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპანიის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, პეკინის გამზ. N28-ის მიმდებარედ არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.030.069) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისი გულგ კოფე ენდ სნაკს“-ისთვის (ს/ნ.: 402204379) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6300 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 424 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.132) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უკვესთვის“ (ს/ნ.: 404474662) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3060 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი N17-19-ის მიმდებარედ/რუსთაველის გამზირი N19-ის მიმდებარედ არსებული 274 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.017.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტრედლოსთვის“ (ს/ნ.: 405504850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2340 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის“ (ს/ნ.: 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1620 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ არსებული 1862 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.72.14.014.980) 52 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ივანიძისთვის (პ/ნ.: 01019032912) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, ავარიული სახლების ჩანაცვლების წესით დადგენილი რეგულაციების გავრცელება შესაძლებელი გახდა მეოთხე კატეგორიის ავარიულ შენობა-ნეგებობებზეც და ამასთანავე, დადგინდა გამონაკლისი, რომ პრეფერენციები არ უნდა შეეხოდა კ1 კოეფიციენტის ნაწილს, მიჯნის ზონასთან და ავტოსადგომებთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ იმ მიწების კონფიგურაცია, რომლებზეც განთავსებულია ავარიული შენობა-ნაგებობები, არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ავარიული სახლის ჩანაცვლება განხორციელდეს ამ პრეფერენციების გარეშე და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ცვლილება, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნას ზემოთ ხსენებული პრეფერენციები, თუმცა, ზუსტდება, რომ საგზაო მოძრაობის სქემა შეთანხმებული უნდა იყოს არსებული მისასვლელი გზების გათვალისწინებით. ამასთანავე, მიჯნის ზონებთან დაკავშირებით დგინდება, რომ დასაშვები იქნება იმ შემთხვევაში, თუ მიჯნის ზონების დარღვევა არ უარესდება არსებულზე მეტად, ხოლო გაუარესების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეების თანხმობა.

ანა გოგოლაძე დაინტერესდა, აღნიშნული ცვლილებების განხორციელების მიზეზი გახდა რომელიმე კონკრეტული შემთხვევა თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნა აბსტრაქტულად.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული ცვლილება წესში განხორციელდა ივნისის თვეში, რის შემდეგაც მოსახლეობასთან, ინვესტორების ჩართულობით, დაიწყო კონსულტაციები და მოლაპარაკებების პროცესში, პრაქტიკულად ყველგან, გამოიკვეთა ის, რომ აუცილებელია ზემოთ ხსენებული პრეფერენციების გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მიწაზე, რომელზეც დგას ავარიული სახლი, არსებული კონფიგურაციით და პარამეტრებით, ჩანაცვლების პროცესი ვერ განხორციელდება.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების წესი არ ეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომლებიც მრავლად არის მთაწმინდის და ჩუღურეთის რაიონებში და ამ მიმართულებით მუშაობს თბილისის განვითარების ფონდი. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, თბილისის მერიას აქვს თუ არა რაიმე გეგმა და ხედვა ამ კუთხით, რადგან მრავალბინიან სახლებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს ეზოს ტიპის სახლებს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ზოგადად, ძეგლებთან მიმართებაში არსებობს განსაკუთრებული რეგულაცია, რომელიც, ძეგლის სტატუსიდან გამომდინარე, რეგულირდება საკანონმდებლო აქტებით და გაცილებით უფრო სკრუპულოზურად არის გაწერილი მასთან მიმართებაში რაიმე ტიპის ჩარევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი მიზანშეწონილად არ თვლის ძეგლის დემონტაჟს და მის ადგილას შენობა-ნაგებობის მშენებლობას გადამეტებული კოეფიციენტით. ამ მიმართულებით აქტიურად და ეფექტურად მუშაობს თბილისის განვითარების ფონდი და ყველა ვხედავთ, თუ რამდენი ძეგლის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია განხორციელდა.

ნინო წულაძემ მაგალითისთვის ისაუბრა ჩაიკოვსკის N15-ში მდებარე ავარიულ შენობაზე, რომელთან დაკავშირებითაც მიმართა თბილისის განვითარების ფონდს, თუმცა პასუხი მიიღო, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია დაგეგმილი არ არის მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რადგან ჯერ ხორციელდება გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რესტავრაცია და განაცხადა, რომ უნდა შეფასდეს რა უფრო პრიორიტეტულია - იმ შენობის რესტავრაცია, სადაც ცხოვრობს ოცდაათი ოჯახი და მომეტებული საფრთხეა თუ იმ შენობის რესტავრაცია, სადაც არ არის მაღალი ავარიულობის ხარისხი, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ თბილისში, ძეგლის სტატუსის მქონე დაახლოებით 1800 შენობაა და თითოეული შენობის რეაბილიტაცია ჯდება რამდენიმე მილიონი ლარი და შესაბამისად, ყველა ძეგლის რეაბილიტაციისთვის საჭიროა ძალიან დიდი თანხა. აქვე, აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში, საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება იმისთვის, რომ განხორციელდეს ძველი უბნების რეაბილიტაცია. ბუნებრივია, რომ ყველა ავარიული ძეგლის რეაბილიტაცია ერთდროულად ვერ განხორციელდება, თუმცა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს არა მხოლოდ გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაცია, არამედ დაწყებულია კადეტთა კორპუსის რეაბილიტაცია, ასევე, ძეგლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს თაბუკაშვილის და რომის ქუჩებზე. მისი თქმით, ამ მიმართულებით, ქალაქი აქტიურად მუშაობს და ამასთანავე, ბევრია შემთხვევა, როდესაც კერძო მესაკუთრეები თავად ახორციელებენ ძეგლების რეაბილიტაციას, რაც კიდევ უფრო უნდა წახალისდეს.

საბა ბუაძე დაინტერესდა რამდენი შემთხვევაა განხილული ინვესტორთან, რამაც სამსახურს აფიქრებინა, რომ საჭირო გახდა ზემოთ ხსენებული პრეფერენციების დამატება და სად იყო კონკრეტული შემთხვევები.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ პრაქტიკულად ყველა განსახილველ საკითხზე, მათ შორის ვარკეთილის მასივის VIII კვარტალში, ნუცუბიძის N10-ში, ფალიაშვილის 48-ში, გამოიკვეთა პრეფერენციების დამატების აუცილებლობა, რადგან არცერთი მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რომელზეც დგას ავარიული კორპუსი, არ იძლევა ჩანაცვლების შესაძლებლობას და იმისათვის, რომ პროცესი არ შეჩერდეს და წინ წავიდეს, საჭიროა პრეფერენციების დაშვება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებებთან ერთად, წარმოდგენილია რეგლამენტში ცვლილება

ვარკეთილის მე-3 მასივში. აღნიშნა, რომ რეგლამენტით გათვალისწინებულია ტერიტორიის განვითარება მხოლოდ გრგ-თი და იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორია სრულად ავარიულია, კ2 განსაზღვრულია 5.0-ით. ამ ეტაპზე, გრგ-ს დამუშავების პროცესში, შეიქმნა პრობლემა მიჯნის ზონაზე და სხივთან დაკავშირებით და შესაბამისად, დეველოპერი ვერ აითვისებს 5.0 კოეფიციენტს, თუ არ მივცემთ მიჯნის ზონის და სხივთან დაკავშირებულ პრეფერენციებს. აქედან გამომდინარე, ცვლილებით წარმოდგენილია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იქნას გათვალისწინებული მიჯნის ზონა და სინათლის განსაზღვრის სქემა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032224544-03 თარიღი: 02.09.2022, N12-032224545-03 თარიღი: 02.09.2022, N12-032224556-03 თარიღი: 02.09.2022, N12-032224566-03 თარიღი: 02.09.2022 და N12-03222152-03 თარიღი: 03.08.2022 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „კ“ პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032224544-03 წერილით წარმოდგენილი „ნ“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საბა ბუაძემ ისაუბრა ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე, სადაც, მისი თქმით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძზე უნდა მოეწყოს „ვენდის“ სწრაფი კვების ობიექტი, რაც გამოიწვევს სატრანსპორტო კოლაფსის მოწყობას ფაქტობრივად მთელი ვარკეთილის ტერიტორიაზე და იქიდან გამომდინარე, რომ სატრანსპორტო მოძრაობის მოდელირება არც წარმოდგენილ მასალას ახლავს და არც კომისიის სხდომაზე ყოფილა წარმოდგენილი, ითხოვა დეტალური განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ზემოთ ხსენებული მშენებლობა სატრანსპორტო მოძრაობაზე.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ათწლეულებია ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური და ავტო სერვისი, რომელთაც, ბუნებრივია, აქვს თავისი დატვირთვა, თუმცა ეს ხდება აბსოლუტურად ქაოტურად და არაფერი არ არეგულირებს, რადგან ობიექტი ფუნქციონირებს 1990-იან წლებში გაცემული ნებართვის საფუძველზე. ამ ეტაპზე, საუბარია იმაზე, რომ მივიღოთ ამ ტერიტორიის კარგი განვითარება და ხსენებული ობიექტი გადაიქცეს ცივილურ ობიექტად და აქედან გამომდინარე, აღნიშნული, ამ უზნისთვის არის წინ გადადგმული ნაბიჯი. რაც შეეხება სატრანსპორტო მოდელირებას, ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, აჩქარების ზოლი გაკეთდება საკადასტრო ერთეულის შიგნით და შესაბამისად, აღნიშნული არავითარ დამატებით დატვირთვას არ გამოიწვევს დღეს იქ არსებული მოძრაობის ინტენსივობაზე.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ანალოგიური მოხდა დილომშიც, ამერიკის საელჩოსთან, როდესაც სატრანსპორტო ზონას შეეცვალა სტატუსი იმ მიზეზით, რომ „ვისოლ ჯგუფს“ განეთავსებინა კვების ობიექტი, რამაც ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე გამოიწვია სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება და მდგომარეობის გაუარესება საცობების კუთხით. მისი თქმით, იგივე იქნება ამ შემთხვევაშიც და საკრებულომ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე და არა იქიდან გამომდინარე, თუ რა მოუხდება „ვისოლ ჯგუფს“.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მას, როგორც საკრებულოს წევრს, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო მასალის მიღების ორი შესაძლებლობა აქვს: მიმართოს უფლებამოსილ პირს, რომ მასალა წარმოადგინოს სხდომაზე, რათა ადგილზე გაეცნოს ან გაგზავნოს შეკითხვა და მიიღოს პასუხი. მისი თქმით, საკრებულოს წევრის სახელით გაგზავნილ კითხვაზე ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო პასუხს არ უგზავნის, ხოლო როდესაც მასალის წარმოდგენას ითხოვს საკრებულოს სხდომაზე, არც ამ შემთხვევაშია გათვალისწინებული მისი თხოვნა და დაინტერესდა, რამდენად ნორმალურია აღნიშნული.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ საუბარი არ არის ერთ კონკრეტულ კომპანიაზე, არაერთი ზონის ცვლილება განხორციელებულა ისეთ ტერიტორიებზე, სადაც დღეს განთავსებულია, მათ შორის, „მაკდონალდსის“ კვების ობიექტები. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა არის ის, რომ ასეთ ობიექტებს ხელი შეუწყოს განვითარებაში. რაც შეეხება სატრანსპორტო მოდელირების სქემას, სამსახურს ამ ეტაპზე სრულყოფილად გაკეთებული ვერ ექნება, რადგან ამ ეტაპზე განსახილველად წარმოდგენილია ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების საკითხი და როდესაც სამსახური დაიწყებს კონკრეტული ობიექტის მშენებლობის შეთანხმების პროცესს, იმისთვის, რომ მოახდინოს მოდელირება, უნდა იცოდეს, თუ რამდენი მაგიდა და რამდენი ე.წ. მიწოდების სარკმელი იქნება განთავსებული კვების ობიექტში, რის მიხედვითაც მოხდება საავტომობილო ნაკადის დათვლა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N5, N6-ში (ნაკვ. 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 5700 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ორი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.956; N81.02.13.815; N81.02.13.957; N81.02.20.299; N81.02.19.245-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 14000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია თერთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, „ჩალიპირებში“; ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ავთანდილის ქუჩა, N72, N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტომემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 19000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ოცი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა N5; N9-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.01.02.595; N81.01.02.580; N81.01.02.618; N81.01.02.819; N81.01.02.590; N81.01.02.880; N81.01.02.581; N81.01.02.879; N81.01.02.857; N81.01.02.599; N81.01.02.945; N81.01.02.818) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტომემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 17000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება თხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, არჩილ ქურდიანის ქუჩა N13, N13ა, N15, N15ა, N17, N19; ქალაქი თბილისი, სლავა მეტრეველის ქუჩა N14, N14ა, N14ბ, N12, N10, N8, N13ა, N6, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.07.017.033, N01.13.07.017.056, N01.13.07.017.057, N01.13.07.017.034, N01.13.07.017.037, N01.13.07.017.015, N01.13.07.017.022, N01.13.07.017.066, N01.13.07.017.067, N01.13.07.017.005, N01.13.07.017.008, N01.13.07.017.011, N01.13.07.017.061, N01.13.07.017.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმეძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 5400 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ერთი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა, რომლის 75% იქნება საცხოვრებელი, ხოლო 25% კომერციული ფუნქციის. აღსანიშნავია, რომ მაკომპრომისირებელი ღონისძიების სახით, მუნიციპალიტეტს გადაეცემა 502 კვ.მ. ფართის შესაბამისი თანხა.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ქურდიანის და მეტრეველის ქუჩებზე გათვალისწინებული ორმხრივი პარკირება და დაინტერესდა, როგორ იქნება მობილობასთან კავშირში აღნიშნული მშენებლობა.

ოთარ ჩიტიმეძე განმარტა, რომ ქურდიანის და მეტრეველის ქუჩები არის ცალმხრივი და ორივე ქუჩას აქვს გასასვლელი, როგორც ბაქრამეზე, ასევე, წერეთელზე და შესაბამისად, არავითარი შეფერხება სატრანსპორტო მოძრაობის მიმართულებით არ იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანში“ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.41.020; N72.13.41.012; N72.13.38.245; N72.13.41.009; N72.13.41.712; N72.13.41.713; N72.13.41.402; N72.13.41.016; N72.13.41.744; N72.13.41.043; N72.13.41.042; N72.13.41.663; N72.13.38.143; N72.13.41.479; N72.13.41.481; N72.13.41.055; N72.13.41.045; N72.13.41.522; N72.13.41.405; N72.13.41.171; N72.13.41.493; N72.13.41.428; N72.13.41.404; N72.13.41.625; N72.13.41.414; N72.13.41.044; N72.13.41.398; N72.13.41.492) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმეძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 33000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ოცდარვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ; N14; N16-ში; ქალაქი თბილისი, გორგასლის II შესახვევი, N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინიძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 7149 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 6-7 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინიძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 32000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.048; N01.11.04.026.109; N01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინიძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 43000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ექვსი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის განთავსება, რომლის 90% იქნება საცხოვრებელი, ხოლო 10% კომერციული ფუნქციის. აღსანიშნავია, რომ მაკომპრომისირებული ღონისძიების სახით, მუნიციპალიტეტს გადაეცემა 2304 კვ.მ. ფართის შესაბამისი თანხა.

საბა ზუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გრგ, გენ.გეგმის მიხედვით, მოხვდა სარევიზიო განაშენიანების რეგულირების გეგმებში და დაინტერესდა, რატომ მოხდა ასე, რა ცვლილება განიცადა პროექტმა მას შემდეგ, რამდენ სართულიანი იქნება ზემოთ ხსენებული ექვსი შენობა და ჯამში რა მოცულობის იქნება აღნიშნული მშენებლობა.

ოთარ ჩიტინიძე განმარტა, რომ ყველაზე დაბალი შენობის სიმაღლე განსაზღვრულია 12 სართულით, ყველაზე მაღალის - 27 სართულით, რაც ჯამში არის 155000 კვ.მ. გენ.გეგმის მიერ

პროექტის სარევიზიო გრგ-დ გამოცხადებისას, მშენებლობის მოცულობა იყო 162000 კვ.მ. და ამასთანავე, რევიზიის მიზანი იყო გეგმარების ნაწილიც.

